განმარტებითი ბარათი
„გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 მაისის №337 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტი მომზადდა 2018-2021 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შემუშავების პარალელურად და მისი მომზადება განაპირობა მოხსენების სტრუქტურის დახვეწა-გაუმჯობესების საჭიროებამ თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით და, შესაბამისად, გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის წესში (შემდგომში - წესი) შესაბამისი ცვლილებების შეტანისა და, ასევე, არსებული ხარვეზების გამოსწორების აუცილებლობამ.

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრის გარდა, წესი ასევე მოიცავს მოხსენების კონკრეტული თავების შესამუშავებლად ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი ძირითადი ადმინისტრაციული ორგანოების ჩამონათვალს. წარმოდგენილი პროექტით განახლდება აღნიშნული ჩამონათვალი და იგი შესაბამისობაში იქნება 2018-2021 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით ჩამოყალიბებულ საქართველოს მთავრობის ახალ სტრუქტურასთან.

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების სტრუქტურა გასაუმჯობესებელია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დარგისა და გარემოზე ზემოქმედების მქონე სექტორების არსებულ სპეციფიკასთან, ასევე, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ქვეყნის ეროვნული მახასიათებლების გათვალისწინების მიზნით. წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ეროვნული მოხსენების განახლებული სტრუქტურა. კერძოდ, საქართველოსთვის შავი ზღვის სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, გარემოს შემადგენელი ძირითადი ელემენტების (ატმოსფერული ჰაერი, წყლის რესურსები, მიწის რესურსები და ნიადაგი, მინერალური რესურსები და ბიომრავალფეროვნება) მდგომარეობას, რომელიც წარმოდგენილია I კარში, ცალკე თავად დაემატა “შავი ზღვის გარემო”. II კარის - “სხვა გარემოსდაცვითი საკითხები და რისკები” არსებული სტრუქტურა შენარჩუნებულია თავების დონეზე, ხოლო, წესის ერთგვაროვანი ფორმატის გათვალისწინებით, ამოღებულ იქნა მოცემული თავების ზოგიერთი ქვეთავის დეტალური ჩაშლა. III კარში - “ეკონომიკის სექტორების ზემოქმედება გარემოზე” ცალკე თავებად ჩამოყალიბდა ტყითსარგებლობა და სოფლის მეურნეობა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის - სოფლის მეურნეობისა და კლიმატის ცვლილების კავშირის გამოკვეთა. ამასთან, ვინაიდან მოცემულ კარში არსებობს თავი “ეკონომიკის ძირითადი სექტორების ზემოქმედება გარემოზე”, “გარემოზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები” ცალკე თავად აღარ არის ასახული წარმოდგენილ სტრუქტურაში.

წარმოდგენილი პროექტის მიღებით გაუმჯობესდება გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების სტრუქტურა და შინაარსი და წესი შესაბამისობაში მოვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ-პოლიტიკურ ჩარჩოსთან.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტის მომზადებისას არ არის გამოყენებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტი.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე და არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღებით გაუმჯობესდება გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის სტრუქტურა და შინაარსი.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტის განხორციელების რაიმე ვადა განსაზღვრული არ არის.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.